

შპს GEO TRAS ს/კ 425357366

შპს GEO TRAS

ს/კ 425357366

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2025 წ.

სარჩევი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
2. შპს GEO TRAS -ს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
2.1 მომზადების საფუძვლები	10
2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	11
2.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.....	12
2.4 საოპერაციო იჯარა.....	14
2.5 მოგების გადასახადი	14
2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა.....	14
2.7 ძირითადი საშუალებები	14
2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება.....	15
2.9 მარაგები	16
2.10 ანარეცხები.....	16
2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები.....	17
2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები	17
2.13 საკუთარი კაპიტალი	18
2.14 დივიდენდები	19
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	19
3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები	19
3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება.....	19
3.3 სასამართლო დავები	19
4. შემოსავალი.....	20
5. მომავალი საიჯარო გადასახდელები	20
6. სხვა ხარჯები	20
7. ძირითადი საშუალებები	21
8. მარაგები	21
9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
11. სხვა მოკლევადიანი აქტივები	22
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
13. სასესხო ვალდებულებები	23
14. დივიდენდები	23
15. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	23
16. საწესდებო კაპიტალი.....	24
17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	24
18. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან.....	27
19. პირობითი ვალდებულებები	27
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27
მმართველობითი ანგარიშგება.....	28

შპს GEO TRAS ის ს/კ 425357366

ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩატარებულია შპს GEO TRAS ს/კ 425357366 თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს GEO TRAS ს/კ 425357366 ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს GEO TRAS ს/კ 425357366 იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან.

თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან.

ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ფონდის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან.

ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ფონდის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ფონდის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ,ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის

გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება

გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა.

ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება. ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანსაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა. აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრელობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

29 სექტემბერი 2025 წელი

დირექტორი

გარიგების პარტნიორი

აუდიტორი ნათელა ჭიაბერაშვილი

ხარისხის მიმომხილველი ირინე დავრაშელიძე



შპს GEO TRAS

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობა				
	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	7	3230153	3249620	3269087
ძირითადი საშუალებები	7	4180054	3939931	5989319
სხვა არამატერიალური აქტივები	7	416	489	520
სულ გრძელვადიანი აქტივები		7 410 623	7 190 040	9 258 926
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	7 076	323	6 368
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1 859 446	3 823 552	1 348 812
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9	2 538 301	870 000	2 525 565
გაცემული სესხები	9	2 078 950	1 354 550	1 150 000
მარაგები	8	322 717	354 563	363 300
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11	518 774	518 774	518 774
სულ მოკლევადიანი აქტივები		7 325 264	6 921 762	5 912 819
სულ აქტივები		14 735 887	14 111 802	15 171 745
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	16	10 913 068	9 829 226	11 942 333
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		10 913 068	9 829 226	11 942 333
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13	2239059	458482	1322994
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2239059	458482	1322994
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	637 135	1 322 570	1 231 294
გამოუმუშავებელი შემოსავალი	15	0	0	277267
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	13	113965	0	0
გადასახდელი დივიდენდები	14	164 617	2 065 500	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	569 964	436 024	281 304
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	15	98 079	0	116 553
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 583 760	3 824 094	1 906 418
სულ ვალდებულებები		3 822 819	4 282 576	3 229 412
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14 735 887	14 111 802	15 171 745

შპს GEO TRAS

ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

საქმიანობის შედეგები			
	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	4	14 022 871	10 554 668
გაყიდვების თვითღირებულება	6	-5 843 340	-4 782 074
საერთო მოგება		8 179 531	5 772 594
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	214018
დასაქმებულთა ანაზღაურება	6	-1 523 784	-1 535 863
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	6	-1 758 020	-2 054 169
იჯარის ხარჯი	6	-63 048	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	6	-16 949	-12 712
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	6	-49 128	0
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	6	-33 071	-53 567
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	6	-16 403	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	-52 547	-92 601
სულ საოპერაციო ხარჯები		-3 512 950	-3 534 894
საოპერაციო მოგება		4 666 581	2 237 700
საპროცენტო ხარჯი	6	-822007	-333243
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	6	-44 594	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		3 799 980	1 904 457
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)		-2 716 138	-4 017 564
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1 083 842	-2 113 107

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 10001005

შპს GEO TRAS

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა		
	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	15 655 710	11 005 672
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-15 648 957	-11 011 717
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	6 753	-6 045
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	323	6 368
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7 076	323

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 100010058

შპს GEO TRAS**ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

(16)	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2022</u>	<u>11942333</u>	11942333
მოგება / (ზარალი)	1904457	1904457
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-4017564	-4,017,564
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2023</u>	<u>9829226</u>	9829226
მოგება / (ზარალი)	3799980	<u>3799980</u>
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2,716,138	<u>-2716138</u>
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2024</u>	<u>1083842</u>	1083842

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 100010058

შპს GEO TRAS

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს GEO TRAS (ს/კ 425357366) დაარსდა 01/03/2011 მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტო იურიდიული მისამართი: საქართველო, ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი

შპს GEO TRAS ის დამფუძნებლები:

შპს ალიანს ბიზნეს ჯგუფი, ს/კ 425368229 100% წილით.

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი, პ/ნ 10001005821

2. შპს GEO TRAS -ს მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ბ) შეფასების საფუძველი

შპს GEO TRAS -ს საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. შპს GEO TRAS-ს ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამტკიცებულია შპს GEO TRAS-ს ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 მარტს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება შპს GEO TRAS-ს ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

შპს GEO TRAS ახდენს გარკვეული საადრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

შპს GEO TRAS ახდენს გარკვეული საადრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს შპს GEO TRAS-ს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც შპს GEO TRAS ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც შპს GEO TRAS-ს ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

2.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შპს GEO TRAS აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც შპს GEO TRAS მოულის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. შპს GEO TRAS იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება
- სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

შპს GEO TRAS შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შპს GEO TRAS შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს სატვირთო საგზაო ტრანსპორტო მომსახურებიდან, საკუთარი ქონების გაქირავებიდან და საბითუმო ვაჭრობით სხვა ქიმიური პროდუქტებით, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის შპს GEO TRAS ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, შპს GEO TRAS აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის

ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

ასევე, შპს GEO TRAS მომხმარებლებს აძლევს არჩევანის უფლებას (ოფციონს) დამატებითი საქონლის ან მომსახურების უფასოდ ან ფასდათმობით მიღებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი ხდება მომხმარებლისთვის სასაჩუქრე ქულების მიცემა, რომლის გამოყენებითაც მომხმარებელს სამომავლოდ შეუძლია ფასდათმობით ან უფასოდ მიიღოს საქონელი ან მომსახურება.

მომხმარებელს ამგვარი ოფციონი არსებით უფლებას ანიჭებს, რაც გულისხმობს, რომ შპს GEO TRAS ავანსად უხდის მომავალში გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის და, შესაბამისად, შპს GEO TRAS ამ შემოსავალს მხოლოდ მაშინ აღიარებს, როდესაც ამგვარ სამომავლო საქონელს, ან მომსახურებას გადასცემს, ან ოფციონს მოქმედების ვადა გაუვა. უფლების გამოყენებამდე ან ვადის გასვლამდე შპს GEO TRAS გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებს ლოიალობის პროგრამის ფარგლებში დაგროვებულ უფლებას, მომხმარებელმა მიიღოს ფასდათმობით ან უფასოდ სამომავლოდ საქონელი ან მომსახურება.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

შპს GEO TRAS-ს შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შპს GEO TRASს კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. შპს GEO TRAS მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

შპს GEO TRAS შეფასებაში ასახავს ფასდათმობას, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ოფციონის გამოყენებისას, რომელიც კორექტირდება შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით: ა) ფასდათმობა, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუძლია ოფციონის გამოყენების გარეშე; და ბ) ამ ოფციონის გამოყენების ალბათობა. ამასთანავე, როდესაც მომხმარებელს გააჩნია სამომავლო საქონლის ან მომსახურების შეძენის არსებითი უფლება და ეს საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მომსახურების ანალოგიურია და მიწოდებაც ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხორციელდება, მაშინ შპს GEO TRAS გარიგების ფასს ანაწილებს ოფციონით გათვალისწინებულ დამატებით საქონელზე ან მომსახურებაზე იმ საქონლის ან მომსახურების მოცულობის საფუძველზე, რომლის მიწოდებასაც საწარმო ვარაუდობს, ასევე შესაბამისი მოსალოდნელი ანაზღაურების გათვალისწინებით.

გამოყენებული გათავისუფლება შპს GEO TRAS -მ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2.4 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

2.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შპს GEO TRAS

გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.7 ძირითადი საშუალებები

შპს GEO TRAS-ში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა შპს GEO TRAS -ში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ან შპს GEO TRAS-ს მიერ შიდა მოხმარებისათვის აგებულ აქტივებთან მიმართებაში, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების დასრულებასა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივის განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები	20 წელი
- ავტომობილები	5 წელი
- უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები	5 წელი
- კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა	5 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს შპს GEO TRAS გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, შპს GEO TRAS აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე

დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით. სხვა მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შპს GEO TRAS წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ შპს GEO TRAS-ს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ

ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი საადრიცხო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. შპს GEO TRAS-ს ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება შპს GEO TRAS-ს ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები) ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. შპს GEO TRAS საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. შპს GEO TRAS აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელმეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის

გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შპს GEO TRAS სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, შპს GEO TRAS მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. შპს GEO TRAS-ს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

შპს GEO TRAS ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და შპს GEO TRAS გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.13 საკუთარი კაპიტალი

შპს GEO TRAS-ს საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება შპს GEO TRAS-ს წესდებით. შპს GEO TRAS-ს წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.14 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და მსჯელობები

შპს GEO TRAS ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს GEO TRAS გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შპს GEO TRAS -ს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

შპს GEO TRAS აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 სასამართლო დავები

შპს GEO TRAS ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხების შეფასებისას შპს GEO TRAS ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შემოსავალი

შპს GEO TRAS ის საქმიანობა არის სატვირთო საგზაო ტრანსპორტო მომსახურება, რომელიც რეალიზაცია, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს.

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულების სახით;

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს;

შემოსავალი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	14 022 871	10 554 668
სულ შემოსავალი	14 022 871	10 554 668

5. მომავალი საიჯარო გადასახდელები

მომავალი საიჯარო გადასახდელები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ფიქსირდება.

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაყიდვების თვითღირებულება	-5 843 340	-4 782 074
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1 758 020	-2 054 169
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-63 048	0
იჯარის ხარჯი	-16 949	-12 712

აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-49 128	0
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-33 071	-53 567
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-16 403	0
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-52 547	-92 601
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-3 512 950	-3 534 894
სულ ხარჯები	-11 345 456	-10 530 017

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივი	სულ
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება							
2023 წლის 31 დეკემბერი	2974632	389342	9105437	157159	157173	1543	12785286
შემოსვლა	0	0	741848	2641257	29964	0	3413069
გასვლა	0	0	4889768	157159	96861	0	2519109
2024 წლის 31 დეკემბერი	2974632	389342	4957517	2641257	90276	1543	11054567
ცვეთა							
2023 წლის 31 დეკემბერი	0	114354	5376408	0	103429	1055	5595246
ცვეთა 2024 წლის განმავლობაში	0	19467	1165010	528253	45217	73	1758020
ცვეთა 2024 წლის შემცირება	0	0	3612463	0	96859	0	3709322
2024 წლის 31 დეკემბერი	0	133821	2928955	528253	51787	1128	3643944
2023 წლის 31 დეკემბერი	2974632	274988	3729029	157159	53744	488	7190040
2024 წლის 31 დეკემბერი	2974632	255521	2028562	2113004	38489	415	7410623

8. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს GEO TRAS-ს მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31/12/2024

31/12/2023

მარაგები	27859	21377
ნედლეული და მასალები	294 858	333 186
სულ	322 717	354 563

9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 859 446	3 823 552
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2 538 301	870 000
გაცემული სესხები	2 078 950	1 354 550
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6 476 697	6 048 102

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
საბანკო ნაშთები ეროვნულ ვალუტაში	7 076	323
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	7 076	323

11. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
სხვა მოკლევადიანი აქტივები	518 774	518 774
სხვა მოკლევადიანი აქტივები	518 774	518 774

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო ვალდებულებები	12 125	30 538
სულ ვალდებულებები	12 125	30 538

13. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	113 965	0
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	1 318 065	30 958
სს საქართველოს ბანკი	920 994	427 524
სულ სასესხო ვალდებულებები	2 353 024	458 482

14. დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
შპს ალიანს ბიზნეს ჯგუფი	164 617	2 065 500
სულ გადასახდელი დივიდენდი	164 617	2 065 500

15. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
საგადასახადო ვალდებულებები	569 964	436 024
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	98 079	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	668 043	436 024

16. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 10 913 068 და 9 829 226 ლარს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გასცემს დივიდენდს წლიური მოგებიდან. 2024 წელს კომპანიას გასცა დივიდენდი 4 900 883 ლარი.

	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2022</u>	<u>11942333</u>	11942333
მოგება / (ზარალი)	1904457	1904457
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-4017564	-4,017,564
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2023</u>	<u>9829226</u>	9829226
მოგება / (ზარალი)	3799980	<u>3799980</u>
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2,716,138	<u>-2716138</u>
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2024</u>	<u>1083842</u>	1083842

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად შპს GEO TRAS დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. შპს GEO TRAS-ს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები		
	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7 076	323
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 859 446	3 823 552
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2 538 301	870 000
გაცემული სესხები	2 078 950	1 354 550
მარაგები	322 717	354 563
სხვა მოკლევადიანი აქტივები	518 774	518 774
საინვესტიციო ქონება	3230153	3249620
ძირითადი საშუალებები	4180054	3939931
სხვა არამატერიალური აქტივები	416	489
სულ აქტივები	14 735 887	14 111 802

ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2239059	458482
სავაჭრო ვალდებულებები	637 135	1 322 570
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	113965	0
გადასახდელი დივიდენდები	164 617	2 065 500
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	569 964	436 024
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	98 079	0
სულ ვალდებულებები	3 822 819	36 393

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა შპს GEO TRAS-ს მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შპს GEO TRAS შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

შპს GEO TRAS ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს შპს GEO TRAS-ს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, შპს GEO TRAS ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ

მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

შპს GEO TRAS -ს საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. შპს GEO TRAS -ს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს შპს GEO TRAS-ს ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კაპიტალის მართვა

შპს GEO TRAS თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შპს GEO TRAS აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას ღირებულების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

შპს GEO TRAS -ს ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. შპს GEO TRAS -ს ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. შპს GEO TRAS -ს მენეჯმენტი დამატებით მიმოიხილავს

რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას შპს GEO TRAS რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

18. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2024 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები განხილულია დაკავშირებულ მხარეებთან.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს GEO TRAS -ს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, შპს GEO TRAS -ს მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, შპს GEO TRAS-ს ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და შპს GEO TRAS-ს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. შპს GEO TRAS -ს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ შპს GEO TRAS-ს ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2025 წლის 20 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს GEO TRAS ს/კ 425357366

მმართველობითი ანგარიშგება

1.საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს GEO TRAS (ს/კ 425357366) დაარსდა 01/03/2011 მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იურიდიული მისამართი: საქართველო, ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი; შპს GEO TRAS ის დამფუძნებელი 100% წილით შპს ალიანს ბიზნეს ჯგუფი ს/კ 425368229; დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი, 10001005821

შპს GEO TRAS -ის საქმიანობა არის სამთო მასის ექსკავაცია სპეცტექნიკით, გადაზიდვის მომსახურება, სატვირთო საგზაო ტრანსპორტო მომსახურება, ბოლო პერიოდში კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა მომსახურების ასორტიმენტი, რის გამოც გაიზარდა კმაყოფილი მომხმარებლების რიცხვიც.

გაიზარდა კმაყოფილი მომხმარებლების რიცხვიც.

სამთო მასის ექსკავაცია სპეცტექნიკით, გადაზიდვის მომსახურება, სატვირთო საგზაო ტრანსპორტო მომსახურება, კერძოდ კი სპეც. ტვირთის ლოგისტიკას წამყვანი პოზიცია უჭირავს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სერვისი, რომლის აქტუალობა განპირობებულია ჩვენს ქვეყანაში.

საკრედიტო რისკი: საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ, მეორე მხარის მიმართ, ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2024

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი: ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. კომპანია სარგებლობს საბანკო დაწესებულების მაღალი ნდობით. მის განკარგულებაშია საკრედიტო ხაზი, რომლის გამოყენებისას, უმოკლეს ვადაში შეძლებს ვადადამდგარ ვალდებულების დაფარვას, თუმცა იშვიათად იყენებს მას.

სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება, შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის მოგება ზარალზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე გარკვეულწილად გავლენას ახდენს სავალუტო გაცვლით კურსზე მომხდარი ცვლილებები.

საბაზრო რისკი: საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი რომელიც ხორციელდება მენეჯმენტის მიერ.

საპროცენტო რისკი: გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტოანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

კომპანიაზე რისკების გავლენა გადაიხედება რეგულარულად მენეჯმენტის მიერ საბაზრო მდგომარეობის და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების განხორციელებისას.

შპს GEO TRAS -ს ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის გუნდი შედგება კვალიფიციური თანამშრომლებით. მათ შეძლიათ გაუჯერებელი სერვისებით მომხმარებლებს მოემსახურონ სწრაფად და ოპერატიულად. აგრეთვე შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო სადაც თანამშრომელთა ჯანმთელობა დაცულია. პერიოდულად ხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება. წახალისების მიზნით კომპანია თანამშრომლებს აჯილდოვებს ფულადი პრემიით.

შპს GEO TRAS -ის მენეჯერები ერკვევიან ბიზნესის მარეგულირებელ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციებში.

ძირითადი კანონები, რომლებიც დღეისათვის საქართველოში არეგულირებენ ბიზნესს და რომლებშიც აუცილებლად უნდა ერკვეოდნენ მენეჯერები, შემდეგია:

- 1) საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- 2) საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ;
- 3) საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ;
- 4) საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;
- 5) საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

მენეჯერებმა ორგანიზაციათა საქმიანობა ქვეყნის საშინაო ბაზარზე ამ კანონების მოთხოვნების გათვალისწინებით არის წარმართული, ორგანიზაციათა ფუნქციონირების წესები, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“.

სარეკლამო საქმიანობას ანხორციელებენ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. მენეჯერები იცავენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. მენეჯერები კარგად უნდა ერკვევიან საგასახადო კოდექსის მოთხოვნებში და საგადასახადო ორგანიზაციებთან თავიანთი საქმიანობაში საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესითა და პირობების გათვალისწინებით.

კონკურენტებიც დიდ გავლენას ახდენენ ორგანიზაციის საქმიანობაზე.

ქვეყანაში შექმნილი საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, გავლენას ახდენს რესურსების ღირებულებაზე, აგრეთვე, მომხმარებელთა მიერ საქონლის შეძენის უნარზე, გამომდინარე აღნიშნულიდან მთელ ორგანიზაციაზე. სამთო მასის ექსკავაცია სპეცტექნიკით, გადაზიდვის მომსახურება, სატვირთო საგზაო ტრანსპორტო მომსახურება წარმართულია ეკონომიკაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით.

შპს GEO TRAS -ის საერთო ეკონომიკური ფაქტორებიდან მენეჯერის ყურადღების ცენტრში არის შემოსავლების სიდიდე, ფასები, დანაზოგები, კრედიტის მიღების შესაძლებლობა და მისი დაფარვის პირობები. მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის

მაჩვენებლების გაანალიზება და გათვალისწინება ორგანიზაციათა საქმიანობის წარმართვის პროცესში.

სოციალურ-კულტურული ფაქტორებიდან ორგანიზაციათა საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენს ცხოვრებისეული ფასეულობები და ტრადიციები.

შპს GEO TRAS -ის საქმიანობაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება. არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციათა საქმიანობაზე და ართულებს მათი მართვის პროცესს. თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა არასტაბილურ ვითარებაში ორგანიზაციები უფრო მეტ მოგებას იღებენ. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მენეჯერების დამსახურებაა.

საერთაშორისო ბიზნესის გარემო

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი შედარებით რთულია. ამის მიზეზი მისი განხორციელების მასშტაბები და მასზე მოქმედი მრავალრიცხოვანი ფაქტორების არსებობაა.

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დამოკიდებული შპს GEO TRAS.

საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე დიდია საინფორმაციო-ტექნოლოგიური გარემოს გავლენა. მენეჯერები უნდა ერკვეოდნენ ელექტრონიკასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში მომხდარ ცვლილებებში და უზრუნველყონ მათი გამოყენება ბიზნესში. არა თუ საერთაშორისო, ქვეყნის შიგნითაც შეუძლებელია ბიზნესის ეფექტიანად განხორციელება ინფორმაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენების გარეშე.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება;

საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები:

საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი
- საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საერთაშორისო დაბეგვრა
- ექსპორტ-იმპორტის ინფორმაცია

ნორმატიული აქტები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის დებულება


რეგულაციები:

- წესდება
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

3.საქმიანობის აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

	31/12/2024	31/12/2023	ცვლილება	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	7 325 264	6 921 762	403 502	6%
გრძელვადიანი აქტივები	7 410 623	7 190 040	220 583	3%
სულ აქტივები	14 735 887	14 111 802	624 085	4%
სულ ვალდებულებები	3 822 819	4 282 576	-459 757	-11%
მოგება / ზარალი	1 083 842	-2 113 107	3 196 949	-151%
სულ საკუთარი კაპიტალი	10 913 068	9 829 226	1 083 842	11%
შემოსავალი რეალიზაციიდან	14 022 871	10 554 668	3 468 203	33%



ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

საქმიანობის შეფასებისთვის კომპანია განიხილავს შემდეგ ფინანსურ მაჩვენებლებს:

- მომგებიანობის თვალსაზრისით, 2024 წლის შპს GEO TRAS **EBITDA-ს მარჯა** შეადგენს 1%–ს, რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გამოკლებული

საპროცენტო შემოსავალი, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ ამონაგებთან.

- **უკუგების თვალსაზრისით კაპიტალთან** მიმართებაში შეადგენდა 10%, რაც 2023 წლის მონაცემებზე (-21%) 31%-ით გაზრდილია.

- **უკუგება აქტივებზე** (წმინდა მოგება შეფარდებული აქტივების ჯამურ ღირებულებასთან) 2024 წელს არის 7%, ხოლო 2022 წელს - -15%.

- მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან 2023 წელს შეადგენს

– 4.63, 2023 წელს იგივე მონაცემი იყო -1.81.

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

არაფინანსური მაჩვენებლები

შპს GEO TRAS -ს ძლიერი მხარეებია:

- **ბიზნესის დაგეგმვა:** ბიზნესის შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით დაგეგმვის სამსახურის არსებობა;
- **განათლება:** საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის პროცესში, პროგრამების არჩევანი, გარემოს შეფასების ობიექტურობის გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა;
- **ინტერნაციონალიზაცია:** საერთაშორისო გარემო (პერსონალის მულტიკულტურული საზოგადოება), აქტიური ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან;
- **ურთიერთობა საზოგადოებასთან:** მჭიდრო კავშირები კერძო და საჯარო დაწესებულებებთან;
- **სოციალური აქტივობა:** აქტიური სოციალური ცხოვრება;

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/დანადგარებს უტარდება პრევენციული და რეაქტიული ტექნიკური.დათვალიერება.

რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად სწორი და დროული შეფასება, მომავალში რისკების შედეგების შემცირების მიზნით, რასაც კომპანია წარსულში მიღებული გამოცდილების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეჯამება-შეფასებით ახორციელებს.

ძირითად რისკს განეკუთვნება შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი რეგულაციის შემოღება და სხვა. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხშირია სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული აქტივობები, რაც მოითხოვს პერმანენტულ ცვლილებებს საოპერაციო საქმიანობაში და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში.

4.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/დანადგარებს უტარდება პრევენციული და რეაქტიული ტექნიკური.დათვალიერება.

რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად სწორი და დროული შეფასება, მომავალში რისკების შედეგების შემცირების მიზნით, რასაც კომპანია წარსულში მიღებული გამოცდილების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეჯამება-შეფასებით ახორციელებს.

ძირითად რისკს განეკუთვნება შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი რეგულაციის შემოღება და სხვა. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხშირია სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული აქტივობები, რაც მოითხოვს პერმანენტულ ცვლილებებს საოპერაციო საქმიანობაში და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში.

5. დასკვნა და მომავალი ხედვა

ოპერაციული ეფექტიანობის გასაზრდელად, შპს GEO TRAS გააგრძელებს ბიზნესის მდგრადობას – გამოწვევებსა და შესაძლებლობებს:

გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და გამოწვევების მიმართ გამძლეობა, კონკურენტუნარიანობის ზრდა, სტაბილური და გრძელვადიანი განვითარება არა მხოლოდ ბიზნესის საჭიროებისათვის, არამედ მომხმარებლებისა და ინვესტორების მთავარი მოთხოვნისათვის.

საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირება ბიზნესის მდგრადობაზე ზეგავლენას ახდენს, მმართველების ერთ-ერთი პრიორიტეტი კი სწორედ ამ მოსალოდნელ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის მომზადება უნდა იყოს.

ეკოლოგიაზე ზრუნვა კომპანიის სტრატეგიის ნაწილია. მდგრადი განვითარების ფარგლებში, იგეგმება ავტოპარკის მიმართულებით გაფართოვება;

მენეჯმენტი აგრძელებს ოპერაციული ეფექტიანობის, ფინანსური მდგრადობის და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაძლიერებას, რათა უზრუნველყოს კომპანიის გრძელვადიანი წარმატება და მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შპს GEO TRAS ინარჩუნებს ფინანსურ სტაბილურობას და აგრძელებს ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას, რათა უზრუნველყოს ბალანსი ზრდასა და მომგებიანობას შორის.

იმის გააზრება ბიზნესისთვის, თუ რამხელა გავლენა აქვს მისი ოპერირების ხასიათს და შედეგებს საზოგადოებრივ, ეკოლოგიურ და მმართველობით სისტემებზე, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენივე მომავალს, რომელიც თუკი გვინდა, რომ ღირსეული გვექონდეს, სერიოზულ ცვლილებებს და გადაფასებებს მოითხოვს დამოკიდებულებების თვალსაზრისით

ჩვენ ვთვლით, რომ ბიზნესის ყველა ელემენტი შეიძლება განხილულ იქნას მდგრადი განვითარების ჭრილში და თუ გვინდა, რომ ბიზნესმა გაუძლოს თანამედროვე მოთხოვნებს, გამოიჩინოს მოქნილობა და შექმნას გრძელვადიანი ფასეულობა, ბიზნესის მდგრად მოდელზე გადასვლას ალტერნატივა არ აქვს. ახლა საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, "უნდა" მიიღოს თუ არა კომპანიამ რაიმე ზომები - რადგან ახლა უმოქმედობა მიუღებელია - ახლა მთავარი ისაა, თუ როგორი საპასუხო რეაქცია ექნებათ კომპანიებს. ჩვენ გვჯერა, რომ ესაა სწორი გზა.

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 10001005821

5. დასკვნა და მომავალი ხედვა

ოპერაციული ეფექტიანობის გასაზრდელად, შპს GEO TRAS გააგრძელებს ბიზნესის მდგრადობას – გამოწვევებსა და შესაძლებლობებს:
გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და გამოწვევების მიმართ გამძლეობა, კონკურენტუნარიანობის ზრდა, სტაბილური და გრძელვადიანი განვითარება არა მხოლოდ ბიზნესის საჭიროებისათვის, არამედ მომხმარებლებისა და ინვესტორების მთავარი მოთხოვნისათვის.
საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირება ბიზნესის მდგრადობაზე ზეგავლენას ახდენს, მმართველების ერთ-ერთი პრიორიტეტი კი სწორედ ამ მოსალოდნელ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის მომზადება უნდა იყოს.

ეკოლოგიაზე ზრუნვა კომპანიის სტრატეგიის ნაწილია. მდგრადი განვითარების ფარგლებში, იგეგმება ავტოპარკის მიმართულებით გაფართოვება;
მენეჯმენტი აგრძელებს ოპერაციული ეფექტიანობის, ფინანსური მდგრადობის და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაძლიერებას, რათა უზრუნველყოს კომპანიის გრძელვადიანი წარმატება და მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება.
შპს GEO TRAS ინარჩუნებს ფინანსურ სტაბილურობას და აგრძელებს ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას, რათა უზრუნველყოს ბალანსი ზრდასა და მომგებიანობას შორის.
იმის გააზრება ბიზნესისთვის, თუ რამხელა გავლენა აქვს მისი ოპერირების ხასიათს და შედეგებს საზოგადოებრივ, ეკოლოგიურ და მმართველობით სისტემებზე, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენივე მომავალს, რომელიც თუკი გვინდა, რომ ღირსეული გვექნოდეს, სერიოზულ ცვლილებებს და გადაფასებებს მოითხოვს დამოკიდებულებების თვალსაზრისით
ჩვენ ვთვლით, რომ ბიზნესის ყველა ელემენტი შეიძლება განხილულ იქნას მდგრადი განვითარების კრილში და თუ გვინდა, რომ ბიზნესმა გაუძლოს თანამედროვე მოთხოვნებს, გამოიჩინოს მოქნილობა და შექმნას გრძელვადიანი ფასეულობა, ბიზნესის მდგრად მოდელზე გადასვლას ალტერნატივა არ აქვს. ახლა საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, "უნდა" მიიღოს თუ არა კომპანიამ რაიმე ზომები - რადგან ახლა უმოქმედობა მიუღებელია - ახლა მთავარი ისაა, თუ როგორი საპასუხო რეაქცია ექნებათ კომპანიებს. ჩვენ გვჯერა, რომ ესაა სწორი გზა.

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 10001005821



შპს GEO TRAS

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

ფინანსური მდგომარეობა

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	7	3230153	3249620	3269087
ძირითადი საშუალებები	7	4180054	3939931	5989319
სხვა არამატერიალური აქტივები	7	416	489	520
სულ გრძელვადიანი აქტივები		7 410 623	7 190 040	9 258 926
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	7 076	323	6 368
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1 859 446	3 823 552	1 348 812
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9	2 538 301	870 000	2 525 565
გაცემული სესხები	9	2 078 950	1 354 550	1 150 000
მარაგები	8	322 717	354 563	363 300
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11	518 774	518 774	518 774
სულ მოკლევადიანი აქტივები		7 325 264	6 921 762	5 912 819
სულ აქტივები		14 735 887	14 111 802	15 171 745
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	16	10 913 068	9 829 226	11 942 333
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		10 913 068	9 829 226	11 942 333
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13	2239059	458482	1322994
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2239059	458482	1322994
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	637 135	1 322 570	1 231 294
გამოუმუშავებელი შემოსავალი	15	0	0	277267
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	13	113965	0	0
გადასახდელი დივიდენდები	14	164 617	2 065 500	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	569 964	436 024	281 304
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	15	98 079	0	116 553
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 583 760	3 824 094	1 906 418
სულ ვალდებულებები		3 822 819	4 282 576	3 229 412
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14 735 887	14 111 802	15 171 745

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 100010058



შპს GEO TRAS

ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	4	14 022 871	10 554 668
გაყიდვების თვითღირებულება	6	-5 843 340	-4 782 074
საერთო მოგება		8 179 531	5 772 594
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	214018
დასაქმებულთა ანაზღაურება	6	-1 523 784	-1 535 863
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	6	-1 758 020	-2 054 169
იჯარის ხარჯი	6	-63 048	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	6	-16 949	-12 712
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	6	-49 128	0
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	6	-33 071	-53 567
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	6	-16 403	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	-52 547	-92 601
სულ საოპერაციო ხარჯები		-3 512 950	-3 534 894
საოპერაციო მოგება		4 666 581	2 237 700
საპროცენტო ხარჯი	6	-822007	-333243
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	6	-44 594	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		3 799 980	1 904 457
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)		-2 716 138	-4 017 564
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1 083 842	-2 113 107

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 10001005




შპს GEO TRAS

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)**ფულადი სახსრების მოძრაობა**

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	15 655 710	11 005 672
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-15 648 957	-11 011 717
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	6 753	-6 045
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	323	6 368
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7 076	323

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 100010058




შპს GEO TRAS**ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	(16) გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2022</u>	<u>11942333</u>	11942333
მოგება / (ზარალი)	1904457	1904457
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-4017564	-4,017,564
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2023</u>	<u>9829226</u>	9829226
მოგება / (ზარალი)	3799980	<u>3799980</u>
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2,716,138	<u>-2716138</u>
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2024</u>	<u>1083842</u>	1083842

დირექტორი - ლაშა ფოლადიშვილი პ/ნ 10001005821